სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო
დრამატული თეატრი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სახელოვნებო სწავლების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და პრაქტიკული განხორციელების, მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებითი საქმიანობის საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი კულტურული ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელებას.
- შემოქმედებითი და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებას.
- თეატრის მსახიობების და რეჟისორების მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას სახელოვნებო შემოქმედებითი პროექტების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.
1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს შემოქმედებით პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.
1.3. თეატრის მსახიობები და რეჟისორები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მონაწილეობას მიიღებენ: მასტერკლასების ჩატარებაში; შემოქმედებით საღამოებში; კულტურულ ღონისძიებებში; სამაგისტრო ნაშრომების ექსპერტიზაში.
1.4. თეატრის დირექცია საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სტაჟირებას.
1.5. განახორციელებენ ერთობლივ ფესტივალებს, თეატრალურ წარმოდგენებსა და კულტურულ ღონისძიებებს.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის
სახელობის სახელმწიფო დრამატული
თეატრის მმართველი — ზაზა ხალვაში

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ერმილე მესხია